რა არის კალოკაგათია

ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

ეძღვნება ქართული მეცნიერების ფენომენთ -
ბატონ ალეკო ცინცაძეს და ქალბატონ დენიზა სუმბაძეს

ადამიანი ფსიქოგენური და ისტორიულ-გენეტიკური მისწრაფებების მქონე არსებაა. დასავლური ანთროპოცენტრიზმი აღნიშნულ ქმნილებას მიწიერი სამყაროს ცენტრად განიხილავს.

ადამიანის აზრობრივი განვითარების პროცესს წარმართავს ღვთიური გონის მიერ შექმნილი ისტორიულ-კულტურული რეალობა და სოციალურ პოლიტიკური სინამდვილე.

ადამიანი ღვთიურ საწყისზე აღმოცენებული მითოგენური კოსმიური ხის აპოფატიკური ნაყოფია, რომელიც იდეურ ასპარეზზე ებრძვის ბოროტებას და მუდმივად ამარცხებს მას. ადამის მოდგმა ცოცხლობს სულიერი ენერგიით (გავიხსენოთ, ენერგიაც კოლხურ-იბერიულ ენაზე იშიფრება - „ენქიშ გური“ - ე.ი. ის რაც უფლისგან მოდის და ადამიანის გულში ცოცხლობს, ენქი შუმერთა ცის ღმერთი და ერთ-ერთი მთავარი ღვთაებაა), რომელიც გონისმიერი საწყისისაგან წარმოიქმნება, იძენს მადლისმიერ სხეულს და გადაიცემა აგრეგორალური სივრციდან სულიერი ძალმოსილების ექსტერიალიზაციის გზით მატერიალურ სიბრტყეში.

სულიერი ენერგია ჭეშმარიტი ინტელექტუალური პროგრესის საფუძველია, რომელიც ზოგადსაკაცობრიო აზროვნების ფუნდამენტად გვესახება. გონის და მადლის კომბინაცია ქმნიდა უდიადეს კულტურებს, რომლებიც თავის მხრივ აყალიბებდნენ უძლიერეს ცივილიზაციებს სულიერი ძალა - ეზოთერული ფილოსოფიის კონცეპტუალური ქვაკუთხედია, რომელიც გარდაიქმნება მსოფლიო გონის წარმომშობ კოსმიურ ენალაგრანულ (ზესულიერ) საწყისად.

ადამიანი ფაქტობრივად გახლავთ უდიადესი არსება, რომელიც იკვებება უმძლავრესი კულტუროტროპული სიბრძნით და რომელიც წარმოადგენს ღვთის ხატად ქმნილ გონისმიერ ქმნილებას. სული - ვითარცა ფიქრი, სამშვინველი - ვითარცა ნება და სხეული - ვითარცა აზრი - აი, ადამიანის სულიერ-მაკრანალური სამყაროს ეზოთერული სტრუქტურის აღწერის ნიმუში.

ადამიანი ისტორიულად ცვალებად ეპოქალურ ქარტეხილებში მოგზაურობისას არც თუ იშვიათად იცვლიდა იდეებს, რომლებიც ეპოქალურ პროგრესს აღარ შეესაბამებოდნენ, ეს კანონზომიერი მოვლენა გახლდათ. არარსებული არსებით იდეად იქცეოდა, ხოლო არსებითი არარსებულის ბურუსში გაეხვეოდა, თითქოს არც

არსებულიყო. წარსულის ანარეკლი მკრთალადღა მოჩანდა მსოფლიო მატიანეთა ოკეანის ანკარა წყალში და ხარობდა ეშმაკი, რადგან გახსოვდეს ძვირფასო მკითხველო, ბოროტების გამარჯვება, თუნდაც დროებით, სწორედ წარსულის დავიწყებით, მისი გაყალბებით, გაბიაბურებით, აწმყოს განადგურებით და მომავლის ნათელ იმედთა ჩაკვლით იწყება. პოლითეიზმმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში, თუმცა მან ამოწურა მისი მისია და გზა დაუთმო სიმართლის უმძლავრესი მახვილით შეიარაღებულ იბერიულ მონოთეიზმს.

პოლითეიზმი შუმერთა, ეგვიპტელთა, პინდუსტთა, ბერძენთა კულტურის აზრობრივი იდეოლოგია გახლდათ, რომელმაც შეუმზადა საფუძველი ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინ თითქოს მივიწყებული ატლანტური მისტიფიკაციის მემკვიდრე მონოთეიზმს, რეამეთუ არსი ერთია, სამმაგი უსასრულო გამოვლინებით, ფორმა შეიძლება გახლდეთ მრავალგვარი.

გახსოვდეთ, ფორმას განსაზღვრავს არსი. არსის გარეშე ფორმა არ არსებობს. შუმერულ ხელნაწერებში პირდაპირ წერია, თუ არ იცი ის, რაც წარმოშობს, ვერასდროს შეიცნობ წარმოშობილს, ხოლო თუ ყურადღებას არ მიაპყრობ წარმოქმნილ ფორმას, ვერასდოს ამოიცნობ წარმომქმნელს. ეს სრული ჭეშმარიტებაა!

ადამიანი და მისი იდეალი - როგორც ორი ურთიერთბალანსირებადი იურიდიულ-ფილოსოფიური კატეგორია, სათავეს იღებს ძველი ატლანტიდიდან, რომლის საძირკველზე აშენდა დიადი კავკასიური სიბრძნის აუღებელი ქართველური ტაძარი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არსობრივი პროგრესი საფუძველია ფორმის სრულყოფისა, ხოლო ფორმის სრულყოფა მიზეზია ახლის შექმნისა ზოგადად სამყაროში.

ფორმალისტური აზროვნება არსობრივი წვდომის გარეშე წყლის ნაყვას ჰგავს. სამოქალაქო-ეთნოგენური იდეალი ადამიანისა წინაანტიკური პერიოდის ხალხთათვის გახლდათ ატლანტი, იგივე ტიტანი ანუ „თი-თაქ-ანი“ - ე.ი. ის არის ცა“ - ანუ „ის აქ ცა“ - ის ემსახურება ცას. ტიტანთა მოდგმამ გადამწყვეტი როლი შეასრულა კოსმონომიური სიბრძნით აზრობრივ უკუნში ჩანთქმული კაცობრიობის გამოსაფხიზებლად. ტიტანებმა და მათი მოდგმის ხუთმა დიდმა წინამძღოლმა - ჰიპერიონმა - „მზის ტიტანმა“; პრომეთემ - „განმანათლებელმა ტიტანმა“, ოკეანოსმა - „წყლის მბრძანებელმა ტიტანმა“, კოოსმა - „კოსმიური ენერგიის მმართველმა ტიტანმა და იაფეტმა - „სიცოცხლის მომცემმა ტიტანმა“ - აი, იესო ქრისტეს მოძღვრების და საკაცობრიო გონის, მე ვიტყოდი, წინარე სახენი, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ ქრისტეს მოსვლას და რომლებმაც ნიადაგი შეუმზადეს მსოფლიოს ხალხთა ქრისტესმიერი ნათლით გაცისკროვნების პროცესს. ტიტანთა მოდგმა „დამარცხდა“ ბოროტ ზევსთან ანუ ინდოევროპული რასის გამომხატველ რეგრესულ ღვთაებასთან ბრძოლაში - მატერიალურ სამყაროში, მაგრამ გაიმარჯვა სტრატეგიულად ზესულიერ განზომილებათა იდიოსტრაციულ სივრცეში. ტიტანებმა შეძლეს ღვთიურ ცეცხლის -

ურანოსის სიბრძნის კაცთა მოდგმისთვის განდობა და ამ ეზოთერულ ცოდნასთან მათი ზიარება. ცეცხლი განასახიერებს - ზეკოსმიურ სიბრძნეს, რომელიც კაცობრიობამ მიღმიერი სულეთის სამყაროდან მიიღო - აღნიშნული სივრცის მცველ ტიტან ატლანტთა დახმარებით. ტიტანები, ჩემი სუბიექტური შეხედულებით, - კოსმიური სივრცის განუმისგან, ზეტისგან, ლუციფერისგან დამცველი პირველი რაინდები არიან. ტიტანთა ორდენი არსებობდა ატლანტიდის სამეფოში და იგი ემორჩილებოდა ატლანტ პატრიარქთა ოკულტურ კოლეგიას. ტიტანთა ორდენმა არაერთხელ შემუსრა განუმის ურდო, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული კაცობრიობის დამონება. ჩვენ აქ, უპირველეს ყოვლისა, აზრობრივი ბრძოლა უნდა ვიგულისხმოთ. ტიტანი გახლდათ ქურუმი, მებრძოლი - ქურუმი, რომელიც აღასრულებდა ღვთის ნებას და ცოდნის ნათლით ანათლებდა ადამის მოდგმას. ტიტანთა ორდენის მეთაური გახლდათ ატლანტი პატრიარქი - აიეტი, რომელმაც შექმნა კოლხას სამეფო და სათავე დაუდო ახალ მსოფლიო მართლწესრიგს. აიეტი - ატლანტ პატრიარქთა ოკულტური კოლეგიის უფლისნებით გადარჩენილი პატრიარქი გახლდათ.

დღეს გავრცელებულია აბსოლუტურად მცდარი შეხედულება თითქოს ატლანტიდა ცოდვებმა დაღუპა. ატლანტთა რასამ აითვისა ენით აღუწერელი ზეკოსმიური სიბრძნე, რომელიც აერთიანებდა ასტრონომიულ ცოდნას, ასტროლოგიურ სიბრძნეს და მათემატიკურ სიმბოლიზებულ კონტენპლაციას. ატლანტები განადგურდნენ კანონზომიერი კოსმიური ციკლის განვლის შემდგომ, რადგან საკაცობრიო კანონზომიერება მოითხოვდა მათი სიბრძნის იდუმალების ბურუსში გახვევას - მომავალ ხალხთა მიერ ამ ცოდნის არასწორი აღქმის გამოსარიცხად.

ატლანტიდა არ გამქრალა, იგი თითოეული იბერის სულსა და გულში ცოცხლობს და ეს ლამაზი სიტყვები არ გახლავთ - მაგალითად კავკასიაში დადასტურებულია როგორც მზის ისე მთვარის კულტი, რაც ამტკიცებს კომეტარული და ლუნარული საწყისების ეზოთერულ დონეზე შერწყმის გზით იბერულ-კავკასიური რასის იდეოლოგიის, ტრანსცენდეტიზმზე დაფუძნებული კონცეფციის ატლანტურ საწყისთა რეალურობას. ატლანტიდა - ატია- ლ- ან- თ -იდა - ე.ი. ათაქ - ლ (ლაზი) - ან (ცა) -თ- თითუან - კოლხურად მზე - იდა - იდაია - იდაშ - „აია“ - ანუ აქ არის ლაზური ცის, კოლხური მზის იდეური აია - ე.ი. - სამეფო.

ატლანტიდა გახლდათ ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი სულეთსა და ამქვეყნიურ სამყაროს შორის. გასაოცარია მისი ანარეკლი ქართველურ მითოსში.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოსში სულეთის ლაშქარი ე. წ. „მორიგე ღმერთის“ ბრძანებით და ღვთისშვილთა - სულეთის რაინდთა - კოპალას, იახსარის, ბაადურის, შიბანურის, თერგვაულის, პირქუშის მეთაურობით ამარცხებს დევთა ჯარს, ამყარებს მშვიდობას და ქმნის განვითარების ნორმალურ პირობებს. აქ, ამ მითოსში, ჩანს უძველესი სიუჟეტი -ატლანტ- ტიტან რაინდთა მიერ განუნის მხედრობის დამარცხებისა და სამყაროს ხსნისა. ხევსურულ მითოსში მაკროკოსმოსი ცხადდება

მეზოკოსმიურ სიბრძნეში და რეალიზდება მიკროკოსმიურ ცოდნაში. ხევსურთა თქმით კოსმოსი მათი მშობელი დედაა, ხოლო ღმერთი - მათი გაჩენის უზრუნველმყოფი თეოსოფიური გონისმიერი მისწრაფებებისა და მადლისმიერი განზრახულების გამაერთიანებელი არსებითობაზე ამაღლებული სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც ქმნის სინათლეს და რომელიც მას იცავს უკუნის ურდოს მეთაურ იამბრეს იდეური შემოტევებისგან. გარკვეულწილად, ბნელეთი აძლიერებს სინათლეს, რადგან წყვდიადი არ არსებობს სინათლის გარეშე და არც სინათლე არსებობს უკუნის გარეშე. მარადიული მხოლოდ უფალია როგორც სინათლის წყარო აზრობრივ და ასევე ფიზიკურ სამყაროში. სინათლე, როგორც მოვლენა აერთიანებს ინტროსპექტიურ საწყისებს და რეტროსპექტიულ საზრისებს. სინათლის სხივი, თითქოს პატარა სხივიც კი ამარცხებს უკიდეგანო ბნელეთს, რადგან იგი უფლისგან მოდის, რასაკვირველია რომ არა უფლის ნება არც ბნელეთი იარსებებდა, მაგრამ უფალი ამ გზით გვამტკიცებს რწმენაში და გვასწავლის სინათლის, როგორც მისგან მომდინარე რწმენაზე დაფუძნებეული აზრობრივი სიბრძნის დაცვას.

ეთნომეხსიერება კავკასიელი ხალხებისა ასახავს სამოქალაქო იდეალს - ანუ ჭეშმარიტ ურთიერთკავშირს საზოგადოებებს შორის. კერძოდ, მეფე კავკასიაში არასდროს ცხოვრობდა მხოლოდ თავისთვის, არამედ იგი საკუთარ თავზე იღებდა უდიდეს პასუხისმგებლობას, რაც ფაქტობრივად თვიშეწირვის ტოლფასი იყო. პირადად ჩემი აზრით, მეფის ინსტიტუტი კავკასიელმა ქურუმებმა შექმნეს და გაავრცელეს მთელ მსოფლიოში. ქართველი (იბერი) მეფეები ფლობდნენ უძველეს და უდიდეს მისტიურ სიბრძნეს, რომელიც მათ ამარჯვებინებდა ლუციფერზე და მის მსახურებზე. სწორედ კოლხ-იბერი მეფენი: აიეტი, სავლაგი, მენესტისი, აკუსილოხი, მოაფერნე და სხვანი გახდნენ სამოქალაქო იდეალნი -ადამიანისა - ანუ ის რასაც პელაზგები „კალო კაგათიას“ უწოდებდნენ. ჩემი აზრით, ქართულ ენაში არსებული დამაკავშირებელი და განმმარტავი სიტყვა „ანუ“ - უძველესი ეზოთერული კოდია და ასახავს შუმერთა მთავარ ღმერთ „ანუს“ სახელს, რომელიც აკავშირებდა ლაზურ შუმერს - მათსავე წინაპარ ატლანტთა სულეთის სამეფოსთან და მეტიც - განმარტავდა განმანათლებლურად - ლაზონურ- მარგალონურ- შონური მოდგმის ფუნქციას საკაცობრიო ცხოვრებაში. აქ აღწერილია ისტორიულ- მისტიკური გზა კაცობრიობის განვითარებისა, პროცესისა, რომელიც დაიწყო ტიტან რაინდთა და ატლანტ პატრიარქთა ძალისხმევით და რომელმაც ბარბაროსობას მარცხი აგემა ჯერ კიდევ ათასწლეულების წინათ.

ეს სიტყვა ქართველურ ენობრივ სამყაროში შემოვიდა შუმერული ენიდან, არც ესაა შემთხვევითი, შუმერი ქურუმები კავკასიას თვლიდნენ კოსმიური ხის - „დიმ-გალ“ (ვედებში „ბოთჰის ხე“) მშობლიურ ადგილად. ეს ფაქტი ასახულია ლუ-დინგირის და ენუმა-ელიშის ფირფიტებში. შუმერთა დროს კავკასია წმინდა ადგილი გახლდათ და მისი საცავები სიბრძნის ეტაპობრივ ათვისებას ექვემდებარებოდა, მანამ სანამ არ გამოჩნდა ბარბაროსი სარგონ აქადელი, რომელმაც დაამარცხა შუმერთა კავკასიელი

მეფე-ქურუმი ლუგალზაგესი და დაამხო შუმერთა იმპერია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მან კავკასიამდე ვერ მოაღწია.

კავკასია - აზრობრივი სინათლის სამშობლოდ აღიქმებოდა შუმერშიც, ეგვიპტეშიც, ინდოეთშიც და ტიბეტშიც. კავკასიელი ხალხები მაშინდელ მსოფლიოში სამაგალითო ინტელექტუალური და ტელეპატიური რესურსების მქონე რასად ითვლებოდნენ. კავკასიური ტომები და მათი რელიგიურ-ფილოსოფიური წამოდგენები გარდაისახნენ -მსოფლიო ცივილიზაციათა სულიერ-იდეოლოგიურ საფუძველთა ამფენორნოკულ (ზესამართლებრივ-ზეთეოგენიურ) საწყისებად.

კავკასიის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მრავალი ეზოთერიული მისტერია, რომელმაც ასახვა ჰპოვა სხვადასხვა ხალხთა ცნობიერ სამყაროში. კავკასიური ტრადიციები - თეოსოფიისა და ისტირიოსოფიის კომბინაციის გზით შექმნილ იდეონომიურ ასპექტთა გამაერთიანებელ კონცეპტუალურ სისტემებად ძალგვიძს მივიჩნიოთ.

კავკასიელი ადამიანი და მისგან განათლებული არაკავკასიელიც გარდაიქმნენ მაშინდელ მსოფლიოში - სამოქალაქო-კულტუროტროფულ იდეალად. მორალი, ესთეტიკა, მხატვრული ლიტერატურა, უმდიდრესი სამართალი, ფილოსოფიური სიბრძნე, ეზოთერული აზროვნება, ზეგრძნობადი ინტუიციური შემეცნება - ეს გახლავთ კავკასიური აზროვნების ენიგმა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას „კალოკაბათია“ - ელინურ სამყაროს არ შეუქმნია, იგი შექმნა პელაზგურ ეტრუსკულ-იბერიულმა სივრცემ, რომელსაც გაღვიძება სჭირდება - მრავალათასოვანი საღათას ძილისგან. ალქიმიკოსები - ელინები და სხვანი ცდილობდნენ დაუფლებოდნენ „ქრისოპოეიას“ - ანუ ყველა მეტალის ოქროდ გარდაქმნის ხელოვნებას, ეს ალეგორიაა, ოქრო ინტუიციური სიბრძნეა, მეტალთა სხვა ნაირსახეობები კი აზრობრივი რენტეკრაციული (ლოგიკური) ნაკადები, რომელთა ინტუიციურ საწყისთა ამოცნობას ცდილობდნენ ალქიმიკოსები, მაგრამ ისინი დამარცხდნენ იმიტომ, რომ აღნიშნული მიზნის განხორციელება სცადეს მატერიალური შემეცნებით, რაც სრული აბსურდი გახლდათ. ე. წ. „ფილოსოფიური ქვა“ - გახლდათ ინტუიციური სიბრძნის ფორმულა, რომელიც თითქოს უხილავთ მარია ებრაელს, კლეოპატრა ალექსანდრიელს, მედერას და ტატნუხტიას - ეს გახლდათ მისტერია, ფორმულის ამოხსნისკენ ნაბიჯის არასწორად გადადგმის გზით მისი შეუცნობლობის დამტკიცებამდე. პეტრე იბერმა შექმნა ქრისტიანულ თეოლოგიაში - ნეგატიური მსჯელობა, უფლის რაობის პოზიტივისტური პრედიკატებით განსაზღვრის შეუძლებლობის თეორია, რომლის თანახმად ქრისტიანობის აზროვნების საფუძველი რელიგიურ-ფილოსოფიური ინტუიცია. პეტრე იბერმა და მისმა მასწავლებელმა იოანე ლაზმა შექმნეს ნეგატივისტური თეოლოგია, არეოპაგეტიკის იბერიულ-კავკასიური სკოლა, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ქრისტიანობის პროგრესირებაში. პეტრე იბერმა აღმოსავლური ქრისტიანობისს იდეური ხერხემალი შექმნა, რომელიც ვერა და ვერ გადატეხეს მსოფლიოს შავბნელმა ძალებმა.

პეტრე იბერმა ჩამოაყალიბა მარტივი ჭეშმარიტება: „უფალი შეუცნობელია, მაგრა, მისი შეუცნობლობის აღიარება მისი სიდიადის შეცნობის ტოლფასია“. პეტრე იბერის ზეგავლენას განიცდიდნენ ქრისტიანი სირიელები - მელქიტებიც (მოგეხსენებათ იგი სირიაში - მაიუმის ეპისკოპოსი გახლდათ), ჩემი სუბიექტური შეხედულებით პეტრე იბერისა და იოანე ლაზის იდეებმა დიდი ზეგავლენა იქონიეს ალ-ღაზალზე - რომელიც სამყაროს შემეცნების მთავარ გზად ინტუიციას მიიჩნევდა. თავის მხრივ, მინდა აღვნიშნო შეცნობა და შემეცნება - იდენტური ცნებები არ გახლავთ. შეცნობა მაღლა დგას შემეცნებაზე, შესაძლოა შეიცნო საზრისი, ანუ ის რაც არის, მაგრამ ძნელია და ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელია ამოიცნო ის თუ რატომ არის, საიდან არის და როგორი იქნება მომავალში - ეს უკვე არა შემეცნება, როგორც აღქმა, არამედ შეცნობა როგორც განჭვრეტაა. ბერძნებმა ბევრი რამ შეითვისეს იბერთაგან, კოლხურ-იბერიულ-ქალდეური სამყარო არ გამქრალა და არც გაქრება, რადგან იგია მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი, მისი ანი და ჰოე, ალფა და ომეგა. ეს მტკიცდება ქართველურ დამწერლობათა შესწავლითაც. სამოქალაქო იდეალს ქმნის ის, ვინც იცის დამწერლობის საიდუმლო. ასომთავრული დამწერლობა, ნუსხა-ხუცური და მხედრული ანბანები - შეიქმნა ატლანტ ქურუმთა მიერ ჯერ კიდევ დაახლოებით 25200 წლის წინ, ეს გახლდათ წინასწარმეტყველური ქმედება, რადგან ატლანტებმა განჭვრიტეს კაცობრიობის ზნედაცემული ბუნება და ჩასწვდნენ ადამის ცოდვის სიღრმეებს, შესაბამისად კაცობრიობას შეუქმნეს ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული ანბანები, რომლებშიც შენახულია უძველესი ასტროსტრატიულ-ასტრავეტრული ფორმულები, რომლებითაც შესაძლებელია კაცობრიობის და მეტიც სამყაროს წარსულის, აწმყოს და მომავლის განჭვრეტა - ეს სულაც არაა ფანტასტიკა, ეს ობიექტური რეალობაა!

ქართველურ დამწერლობებში ხაზობრივი და ბგერითი ნიშნები - სრულფასოვნად ასახავს იზოფსეფიურ (ჰემატრიულ) და ლექსიკოლოგიურ-ეზოთერულ სიბრძნეს. ობიექტურად დადასტურებულია - ლაზარეს - ლაზი ერის აღდგინების ფორმულის ამ დამწერლობაში არსებობა და ეს ფორმულაა - „ანე“ და „აიან“ - ე. ი. ცის სიბრძნე და „მიწის ციური ცოდნა“.

ასტროგრაფიული დამწერლობის სამშობლო იბერიაა, რადგან ასტრონომიული ცოდნა მთელ მსოფლიოში აქედან გავრცელდა, მეტიც, თითოეული ქართული ასო ასახავს კოსმიური ენერგიის მოძრაობის თავისებურებებს, შესაბამისად თითოეული ასო გახლავთ ასტროსტრატიული მატრიცა - კოსმიური გონისმიერი იზომორფული განზომილებებისა. ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული არ არის ერთმანეთის განვითარების შედეგი, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ანბანები ერთიანი ასტრონომიულ-თეოლოგიურ-ლოგოგენური სისტემაა, რომელიც ასახავს ეთნომეხსიერების განვითარების ურთულეს ორიენტირებს -კაცობრიობის ისტორიაში.

თავისუფლად შეიძლება ითქვას ქართველურ დამწერლობათა სისტემა მსოფლიოში უნიკალურია და წარმოადგენს პრაქტიცირებადი აზროვნების წარმომშობი თეოსოფიური რეალიების მათემატიკური მეთოდიკით ისტორიოსოფიურად აღმწერ

ანბანთა ერთიან სისტემას. აქ ასოთა მოხაზულობაში ჩანს ყოვლადწმინდა სამების კოსმიური მატრიცა, კერძოდ ასომთავრული ანბანი ატლანტელმა ქურუმებმა შექმნეს როგორც მამა ღმერთის სიმბოლო, ნუსხა-ხუცური გახლავთ „მზის ბოკვერად“ – „ბასილისკოსად“ სახელდებული სანგიგ ქურუმთა მიერ ნაწინასწარმეტყველები ღვთის შვილის - იესო ქრისტეს სიმბოლო - როგორც ქრისტიანული- ანბანური „ლაბარუმი“. მხედრული კი აღნიშნავს „წმინდა სულს“ - რომელიც ავსებს და აერთებს წინა ორს -ეს გვირგვინია - სკიპტრაა, იბერიელ ქურუმთა აზრობრივი რეგიუმია. „კალოკაგათია“ - გახლავთ პელაზგური ტერმინი, რომელიც ასახავს სამართლებრივ-ფილოსოფიურ კატეგორიათა მიხედვით მოაზროვნე ზნეობრივად სრულქმნილი ადამიანის სულის განსხეულება-განხორციელებას საზოგადოებრივ ასპარეზზე. ჭეშმარიტი სამოქალაქო იდეალი -კონსერვატიული მონარქიის მოდელია, რომელმაც არაერთხელ იხსნა კაცობრიობა ზნეობრივი დეგრადაციისგან. „კალოკაგათია“ - არ გახლავთ მხოლოდ აბსტრაქციული მოვლენა, იგი პრაქტიცირებადი თეოსოფიური ფენომენია, რომელიც ახორციელებს ეთნომეხსიერების დედუქცირებას.

დასკვნა: დგება ჟამი ქართველი ხალხის გამოღვიძებისა, ჩვენ დიდი მისია გვაქვს და ეს მისია უნდა განვახორციელოთ მდგრადი განვითარებით. დიდება უფალს! გფარავდეთ ღმერთი!